


ლიცენზირებული საშუაში



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზემი „საშურის მოამბის“ ღამატიკა
№1, 27 იანვარი, ორშაბათი, 2020 წელი

აი, რატომ უნდა ვიამაყოთ!

1. თბილისიდან 80 კილომეტრში, ბრინჯაოს ხანის დროინდელ ქალაქ დმანისში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, 2001 წელს იპოვეს ჰომინიდათა თავის ქალები და ყბის ძვლები, რომელსაც, მოგვიანებით, ჰომო გეორგიკუსი შეარქვეს. ქართველმა მეცნიერებმა კი მათ ზეზა და მზია უწოდეს. ახალი აღმოჩენილი ჰომინიდი 1 მილიონ 770 ათასი წლით დათარიღდა, 2001 წელს დმანისში აღმოჩენილი გოგონას ჩონჩხის უძველესი ნაშთებიც, დაახლოებით, 1,8 მილიონი წლის წინანდელია, მისი ასაკის მიხედვით დმანისელი ადამიანი ყველაზე ძველი ჰომოს წარმომადგენელია, რომელიც ცხოვრობდა აფრიკის გარეთ, საქართველოში. ქართველებმა სათავე დაუდეს თეთრკანიან რასას.

2. საქართველო ვაზის და ღვინის უძველესი კულტურის ქვეყანაა!
ამის დასტურია ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურული ძეგლები. ქვემო ქართლში, სოფელ იმირის ტერიტორიაზე ჩვ. წ. აღ-მდე VI ათასწლეულით დათარიღებული, უძველესი ყურძნის ნიპნები(ყურძნის კურკა) აღმოაჩინეს.

ქვემო ქართლში, სოფ. შულავერთან მდებარე ე.წ. "ხრამის დიდ გორაზე" არქეოლოგებმა იპოვეს ნეოლითური ხანის (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები) თიხის დიდი საღვინე ჭურჭელი, რომლის ასაკი 8 000 წელია, მასზე ყურძნის ოთხი მტევანია გამოსახული. აღნიშნული ჭურჭლის კედლის სინჯში აღმოჩენილია კულტურული ვაზის ყვავილის მტვრის მარცვლებისა და ღვინის მუავის ნაშთები.

ალაზნის ველის სამაროვნებში აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი. ნაპოვნია თიხის ქვევრები, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. (ძვ.წ. III-II ათას.)

ანტიკურ ნაქალაქარ ვანში ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრებლის მიერ ნაპოვნია ბრინჯაოს ქანდაკება ყანწით ხელში – „თამადა“, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VII საუკუნით.

VI-V ათასწლეულებით ჩვენს ერამდე დათარიღდა ანაკლიის დიხა-გუძუბაში აღმოჩენილი ნიპნები. ასევე ნაპოვნია კულტურული ვაზის უშუალო წინაპარი – გარეული ვაზი – კრიკინა (უსურვაზი), რომელიც დღეს წითელ წიგნშიც არის შეტანილი.

ადიგენის რაიონში, მდინარე ძინძეს ახლოს, გაშიშვლებულ ქანებში აღმოჩნდა მოყვითალო ფერის გაქვავებული ვაზის შტამპი, რომლის სიგრძე 30 სმ-ზე მეტია, ასაკი, დაახლოებით, 15 მლნ წელი. ახალციხის რაიონში ველური ლერწმისა და ფოთლების ანაბეჭდებია აღმოჩენილი, ასაკი 10 მლნ წელი.

მსოფლიოს 4000-მდე ვაზის ჯიშიდან კი, საქართველოში ვაზის 500 ჯიში ხარობს.

ღვინის აღმნიშვნელ სიტყვებს თითქმის ყველა ენაში ერთი ძირი აქვს. ქართველურ ენებში იგი გამოითქმის ასე: ღვინო (ქართ.), ღვინი (ზან.), ღვინალ (სვან.).

სიტყვა „ღვინის“ სემანტიკური მნიშვნელობა მხოლოდ ქართულ ენაში დასტურდება. აქვე ირკვევა ისიც, რომ ის ზმნა „ღვინილი“-დან არის

წარმოებული. ამ სიტყვის ფუძე – „ღვ“ წმინდა ქართულია. (ღვიძლი, ღვეთი, მღვდელი, ღვივილი, მღვიმე, ღვთაება, გაღვივება, ღვარი, ზღვარი, ღვანლი, ღვრა, ღვიძილი, ღვია). მისი საწყისი ფორმა უნდა იყოს „ღვივილი“, ანუ ის, რაც დულს, ამოდის, ღვივდება. “

3. „საქართველოში მეთუნეობის ტრადიცია ათასწლეულებს ითვლის. თიხის ჭურჭლის ნიმუშები, ჯერ კიდევ, ქვის ხანის ეპოქიდან არის შემორჩენილი. საქართველოში, უკვე ძვ. წ. აღ. VII-VI საუკუნეებში გამომწვარი წითელი თიხის ჭურჭელი მზადდებოდა. ამის დასტურია ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია აღმოჩენილი. ძვ.წ. აღ. III საუკუნით დათარიღებული, თრიალეთსა და ურბნისში მოპოვებული თიხის ჭურჭელი მოხატულია სხვადასხვა ფერის წერნაქით. გააჩნია საკმაოდ რთული ფორმა, რაც მეთუნეობის დიდ ტრადიციაზე მეტყველებს.“

უძველესი თიხის ნაწარმი თბილისში გამოვლენილია დელისის ნასახლარზე (ძვ. წ. V ათასწლეულის დასასრული – IV ათასწლეულის I ნახევარი). ყველაზე ძველი ბზენარევი კერამიკის ჭურჭელი საქართველოში – დიღმისწყლის მარცხენა ნაპირზე, თრელიგორების ნასახლარზე, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. V-IV ათასწლეულებს.

4. საქართველო ხორბლის კულტურის ერთ-ერთ ძირითად და პირველ კერად მიიჩნევა. კოლხეთის დაბლობში არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნია დანახშირებული ხორბლის მარცვლები და, ასევე, შულავერში მიკვლეულია ჩვ. წ. აღ-მდე V-IV ათასწლეულის ხორბლის ნიმუშები. ჩვენი ქვეყანა ხორბლის სახეობათა მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. საქართველოში გვხვდება მსოფლიოში ხორბლის ცნობილ 27 სახეობიდან ყველაზე მეტი – 12 სახეობა, მათ შორის, 6 ენდემური (ადგილობრივი). ყველაზე ძველ და გავრცელებულ ჯიშებს განეკუთვნება ასლი, მახა, ზანდური, დიკა, თავთუხი და სხვა. ქართული ხორბლის ჯიშებს გააჩნიათ უნიკალური თვისებები: ყინვისა და გვალვის მიმართ გამძლეობა და სტაბილურ მოსავლიანობა.

5. მსოფლიოში უძველესი ზედაპალეოლითური პერიოდის ძვლის ნემსი და ველური სელის ძაფის ბოჭკო აღმოაჩინეს 2007 წელს, ჭიათურის რაიონის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, ძუძუანის გამოქვაბულში. ჰეროდოტე გვიდასტურებს, რომ კოლხეთში დიდად იყო განვითარებული სელის კულტურა. ქსენოფონტეს მოეპოვება ცნობა, რომ ხალიბები სელისაგან დაწნულ ჯავშანს იყენებდნენ.

პირველი ქართული საერო ტანსაცმელი მეხუთე საუკუნის დმანისის ქვის კვარცხლბეკზეა გამოსახული, სადაც მამაკაცს ქართული კოსტიუმი – ქართული ჩოხის წინაპარი მოსავს, ხოლო დმანისის მეშვიდე საუკუნის კატაულას ქვის სვეტზე კი, გამოსახული გახლავთ ხუთი ქალი, თავსაბურავით.

6. საქართველოში აღმოჩენილია მსოფლიოში უძველესი თაფლი. ქართველმა არქეოლოგებმა, 2003 წელს, ბორჯომის რაიონის სოფელ საკირესთან, კოდიანის მთის ძირში, ყორღანი აღმოაჩინეს, რომელიც 3700 წლით თარიღდება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, თაფლის ორი ჭურჭელი იქნა ნაპოვნი, რომელიც ტუტანჰამონის სამარხში

არსებულ ცნობილ თაფლზე, თითქმის, 14 საუკუნით უფრო ძველია. ყორღანი, დაალოებით, 5500 წლის არის. სპეციალისტების აზრით, ეს, მსოფლიოში აღმოჩენილი უძველესი თაფლია.

7. ქვემო ქართლში, დმანისთან აღმოჩენილია (ან უკვე განადგურებული) მსოფლიოში უძველესი, 5400 წლის საყდრისის ოქროს მაღარო, რომლის სიღრმე, დაახლოებით, 50 მეტრია, რაც მეტყველებს ბოლნისის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის ოქროს მოპოვების რთული ტექნოლოგიის ცოდნას. ეგვიპტელებმა იგივე ტექნოლოგიის მიგნება ათი საუკუნის შემდეგ შეძლეს. საქართველო ოქროს სანძისის ქვეყანაა.

8. მეცნიერების აზრით მეტალურგიისა და ლითონდამუშავების კერა გახლდათ საქართველოს მთიანეთში. „ქართველ ტომებს მადნეულობის მოპოვებასა და დამუშავებაში საპატიო ღვაწლი მიუძღვით ძველი განათლებული კაცობრიობის წინაშე“, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი. მანვე დაადგინა, რომ „კალის“ გარდა, ყველა ლითონის სახელი ქართულია, რაც პირდაპირ მეტყველებს ზემოაღნიშნულის სისწორეზე. როცა საუბარი მეტალურგიის სამშობლოს ეხება, არქეოლოგები ხან ჩვენს ერამდე II-I ათასწლეულის მიჯნის წინა აზიას ასახელებენ და ხანაც – ინდოეთს. მსოფლიოში პირველი მეტალურგები და მჭედლები ქართველური ტომის, თუბალების წარმომადგენლები იყვნენ. ბიბლიაშიც არის მითითებული, რომ მეტალურგიასა და მჭედლობას უძველესმა ქართულმა ტომმა, თუბალებმა დაუდეს სათავე. ხოლო ასირიელებმა, მესოპოტამიელებმა, ბერძნებმა თუ სხვებმა სწორედ მათგან ისწავლეს ეს საქმე.

9. მსოფლიოში 5000-მდე ერია და მხოლოდ 200-მდე სახელმწიფო. 7000-ზე მეტი ენა და 100-მდე დამწერლობა არსებობს, მათ შორის, ერთ-ერთი ქართული.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ქართული დამწერლობა, სავარაუდოდ, იბერიის პირველმა მეფემ ფარნავაზმა შექმნა.

არსებობს ასომთავრული, ნუსხური და მხედრული დამწერლობა. ქართული ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული უძველესი მეხუთე საუკუნის ძეგლია „შუშანიკის წამება“. აღსანიშნავია 2015 წელს, კასპის რაიონის სოფ. იგოეთში, გრაკლიანის გორაზე ძვ. წ. VII საუკუნის ტაძრის საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერის აღმოჩენა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2 700 წლის ისტორიას ცხადყოფს, რაც ეჭვქვეშ აყენებს პირველი დამწერლობის ფინიკიაში შექმნის საკითხს.

10. მსოფლიოს ყველაზე ღრმა კარსტული გამოქვაბული საქართველოშია.

კრუბერის გამოქვაბული (ვორონია-კრუბერის გამოქვაბული) – აფხაზეთში, არაბიკის მასივში (კირქვული მასივი გაგრის ქედის დასავლეთ ნაწილში) მდებარეობს. დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან იგი ყველაზე ღრმაა (სიღრმე – 2190 მ). ეს სახელი ეწოდა რუსი გეოგრაფის, სპელეოლოგიის აღიარებული მკვლევარის – ალექსანდრე კრუბერის მიხედვით.

11. საქართველო მსოფლიო პოეზიის მარგალიტის, სავარაუდოდ, მე-12 საუკუნეში შოთა რუსთაველის მიერ დაწერილი რომანტიკული შედევრის – „ვეფხისტყაოსანის“ სამშობლოა, რომელიც მრავალ ენაზეა ნათარგმნი.

12. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია 4 ქართველური ენა: ქართული, მეგრული, სვანური, ლაზური, რომელიც შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში, ასევე, აფხაზური ენა, რომელიც მიეკუთვნება ადიღეურ ენათა ჯგუფს.

ფოტოლი

შიშველ ხის ტოტზე რამდენიმე ფოთოლი ცეკვავს... უკანასკნელი ვალსია თუ სიმღერა გედის?... ერთი მათგანი ფრენა-ფრენით დაეშვა დაბლა, მოიკალათა ძირს დაფენილ ფოთოლთა შორის... ყველა დროს თავის სილამაზე აქვს.. ჟამი დამდგარა მიძინების, ზამთარი მოდის...

შ
უ
ს
ა
ნ
ა



ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი

საწუთრო

ხის ნაფოტივით მატყვივებს ბეცი საწუთრო, გულის სასმისი პირთამდეა სავსე ტყვილით... ზღაპრულ ხალიჩას, ბებოსეულს, მახათით ვეკმსავ, ეჭვის თვალებით ღრუბელს ვუჭვრეტ, ველარ ვიღიმი. არეულ მეგზურს ბენვის ხიდი ამაქანავებს, ჩემს იალქანზე ქარიშხალმა დასცა აფრები, აღარც კი ვიცი, გზა საიდან გამოვიკვლიო, როს ჩემი სულის ხვეულებში დავიკარგები.

* * *

ჩამომიჭენა წლები, როგორც ყვავილები, გაშლილ მინდორს ქარიშხლები ატყვია. ჩრდილი ჭარბობს, შემოაცვდა მზეს სხივები, ძველებურად გრძნობებიც არ ბლავიან. გავაცილე ოცნებათა ქარავანი, – ჩაიარა, ჩაილური დალია. ამ ფიქრებსაც აერიათ გზა და კვალი, აღმა-დაღმა, ვისთან, სად არ დადიან... გულზე დამდის სულ პატარა, ფრჩხილის ტოლი, დანინკლული კაბით, ჭიამაია, აღარ ვკითხავ, ჩემი ბედი საით არის? – ხომ, ისედაც, ყველაფერი ცხადია. დრომ სირმები ჩამაქსოვა თეთრად თმაში და თუ ავდრობს, დროდადრო, ხომ დარია? არ გაფრინდე, დარჩი ჩემთან, ჩემო კარგო, დანინკლული კაბით, ჭიამაია.

ფუფალა

მოგონება, მზის სხივივით, გულში შემოპარული, წლები, თოკზე გაფენილი ანმეოთი და წარსულით. გოგო იყო ჩიტისგულა, ნუშისფერი თვალებით, სიყვარული დაჰფენოდა გულზე, როგორც ხალები. ბიჭი ლალი, თმაქოჩორა, რაინდული მანერით, მიდიოდა, მოდიოდა ბარათები რამდენი... სიზმარეთში გოგო-ბიჭის ანცობა და თამაში, ყაყაჩოთი, გვირილებით ამოქარგულ ყანაში. გულისპირზე შესხნილი თუ შეწყვეტილი ლილები... ნანვერალში, სირბილისგან დაკანრული წვივები. დაჭორფლილი ცის ღიმილი, უძინარი თვალები, გულზე ცეცხლად მოდებული სიყვარულის ალები... რაც იყო და რაც არ იყო მან იცის და უფალმა... იმ პატარა გოგოსავით ელიმება ფუფალას.



მკირე ჰროზა



ღვანლმოსილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, ქალბატონ **მაყვალა ხაჩიძეს** ვულოცავთ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრობას და დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

განვბანე სიტყუაი ესე

გარიჟრაჟს მინდოდა, შევხვედროდი...

გზად ტყისპირს გავუყევი და ვიდრე ხეთა კენწეროები ერთმანეთს გადაეჭდობოდნენ და „კრიმანჭულს“ ამოიძახებდნენ, სმენა უსიამო ბგერებმა დამიხმო და ლიზლიერი სიტყვების კორიანტელში გამხვია. შევცბი, ნაბიჯი შევანელე და მივაყურადე, დაბურული ტყის სიღრმიდან ტყვიასავით მძიმე და გულისმომწველ სიტყვებს ისროდნენ. დავიჩოქე და ყოვლისშემძლეს შევთხოვე, ამოვარდნილიყო ქარიშხალი და სიტყვები ჩემკენ გადმოერეკა. მუდარისთანავე, ჩემ ფეხქვეშ ცვიოდნენ: გველისთავიანი სისინა და ბაყაყით ყიყინა ბგერები, ჭუჭყიანები, მოძულეზუნნი და მიუსაფარნი...

წამოვკრიფე და ანკარა ნაკადულში განვბანე, მივეფერე, მერე ვარდის ბუჩქზე გადავკიდე გასაშრობად, მოგვიანებით კი, თითოეული მათგანი ბულბულის ყელში ამოვავლე და, ასე, სურნელოვანი და ტკილხმოვანი საბა ორბელიანს შევავედრე და მის „სიტყვის კონაში“ ხატებივით შევასვენე.

გარიჟრაჟს სუფთა „კრიმანჭულით“ ეგებებოდა ტყე.

ხსოვნა

მიტოვებულმა და შეურაცხყოფილმა, შენი ხსოვნა ბებიაჩემისდროინდელ სკივრში საგულდაგულოდ გამოვკეტე და გასაღები გულის ჯიბეში შევინახე...

შემდეგ, როცა მონატრებამ გულს სარქველი ახადა, ბევრი აღარ მიფიქრია, სკივრი გავხსენი... შენი ხსოვნა ჩრჩილს შეეჭამა.

სინანული

იქნებ, ვეზიარო, – ითხოვა სანოლსმიჯაჭვულმა, მარტოხელა ქალმა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია.

ახალგაზრდობაში ვაჟს შეჰყვარებია, ქალი არ გაჰყოლია, მის ბარობაზე ვაჟს თავი მოუკლავს. ქალს საკუთარი თავისთვის განაჩენი გამოუტანია და ულამაზესი ქალწული მარტოობას შეჰკედლებია...

მომაკვდავს ვერავინ შეუსრულა უკანასკნელი სურვილი, მაგრამ ვიდრე ჩაასვენებდნენ, ყველამ დაინახა მის მკერდზე ამოზრდილი სინანული, ყვავილივით რომ გადაშლილიყო.

ნოსტალგია

კარადიდან ქალიშვილობისდროინდელი აბრეშუმის კაბა გამოიღო, ძლივს ჩაიცვა და გულისპირზე ბების ნაჩუქარი ბროში მიიბნია, თმაზე რამდენჯერმე გადაისვა ხელი, სარკეში თავის ორეულს გაუღიმა, მეც დავბერებულვარო, – ჩაილაპარაკა და იმავე კარადაში მეუღლის მიერ ნაჩუქარი საათი შეინახა, – ჩემს შვილიშვილებს გამოადგებათო.

ნისქვილში

მთის მდინარე ხმაურობს, ცხელა. ნისქვილის წინ, ფიცარნაგზე, მამაკაცები ჩამომსხდარან და სარეკელასთან ერთად ხმაშენყობით მღერიან.

თეთრნინსფრიანი ქალი მოუსვენრად დაფუსფუსებს. სუფრა მზადაა. კაცები სუფრასთან იკავებდნენ ადგილს და დაშაქრული სადღეგრძელოებით ინონებენ თავს. შექეფიფიანებული მენისქვილე უყურებს ცოლს, იღებს სასმისს და გრძობამორეული წარმოთქვამს სადღეგრძელოს:

„ქალს გაუმარჯოს, სიცოცხლისა და სიყვარულის ბურჯს, ჩვენს საიმედო საყრდენსა და ნავსაყუდარს... შეხედეთ, ამდენ დასიცხულ მამაკაცს შორის, როგორ სიოსავით დაჰქრის ჩვენი დიასახლისი და დალლას არ იმჩნევს, გაუმარჯოს!“

ალაკრული ახალგაზრდა ქალი კი მორჩილად დგას და იმ დაჭრილ კურდღელზე ფიქრობს, კაცებმა რომ ესროლეს ამ დილით.

მეგობარი – თეთრ ქალაქში

თოვდა... მისი ფანჯრიდან ხელისგულივით ჩანდა ახალი წლის მომლოდინე ქალაქი. რალაც საოცარი სიმშვიდე გამეფებულიყო ირგვლივ.

„უნდა დავხატო“, – თქვა და პირველი მონახაზიც გაჩნდა ტილოზე... თოვლში კოლოფივით ჩადგმული სახლებიდან სინათლე იფრქვეოდა. ნათელი, ცოცხალი ფერები ქალაქს უჩვეულო სითეთრეს მატებდა. „თეთრი ქალაქი“, – ასე დაერქმეოდა ამ სურათს.

მხატვარს უკვალოდ გამქრალი, მიწისძვრით დანგრეულ ქალაქში გამგზავრებული ექიმი მეგობარი გაახსენდა, სახე შეეცვალა, ფუნჯი რამდენჯერმე უხეშად გაატარა ტილოზე. სახლის ფანჯრებში თითქოს სინათლე ჩაქრა. ჩამოხნელდა, ფუნჯმა კიდევ ერთი სვლა გააკეთა ტილოზე და ქალაქი ნანგრევებად აქცია.

„ალბათ, ამ ნანგრევებში ჩაიკარგა მისი მჩქეფარე სიცოცხლე“, – გაიფიქრა კუმტადქცეულმა მხატვარმა. – არა, მე აღვადგენ ამ ქალაქს და, იქნებ, მის აღდგენილ ქუჩებში ჩემი მეგობარიც დავლანდო...

აღსასრული

აღარაფერზე ნუხდა. ინვა და ქუთუთოებშენებებული იმ თოვლის გუნდაზე ფიქრობდა, ბიჭებმა რომ ესროლეს. მერე იქვე, ისფერ თოვლზე გაბლანტებული სისხლის გუბე მოელანდა, ვისი ან რისი სისხლი იყო, – დაიწყო ტვინის ჭყლეტა, მაგრამ არაფერი ეშველა, ვერ გაიხსენა...

ვიდაცას სველი თოვლის გუნდა ეჭირა ხელში და უმიზნებდა, შეეშინდა და სასონარკვეთილი ლოგინში შეიყუჟა.

გარეთ ჭოტი აკივლდა. კედლის საათზე ისრები შედგა.

გარე სამყაროსთან კავშირი განყდა.

ბედნიერია, ვინც პოულობს

ადამიანის ცხოვრება ხან ფერადია, ხან ბინდისფერი, ზოგჯერ ერთფეროვანი, ზოგჯერ მრავალფეროვანი, – ეს სამყაროს მოდელია, როგორც დღისა და ღამის, მზისა და მთვარის მონაცვლეობა. ყველა და ყველაფერი ცვალებადი და განვითარებადი.

ადამიანი ვერ ეგუება ვერც მუდმივ ერთფეროვნებას და ვერც მრავალფეროვნებას, ამიტომ სულ უკმაყოფილოა თავისი ბედით. ის მუდმივ ძიებაშია, ძირითადად კი სამყაროს შემოქმედს ეძიებს და ბედნიერია, ვინც პოულობს.

ოლონდაც, ქვიშის ქარიშხალი არა!

ჩემი ცხოვრება დღემდე ქარის ქროლვასა ჰგავდა, აქეთ-იქით რომ მიმახეტებდა...

ამ ბოლო დროს კი შემოდგომის სიოს დაემსგავსა, ზაფხულის ხვატისაგან აფაკლულ ლანვებს საამოდ რომ ელამუნებოდა და, მადლობა უფალს, ქვიშის ქარიშხალს არ ჰგავს, რომელიც მიწას ისე გამოგაცლის, ფეხზე დადგომას ვეღარ შეძლებ.



პოეზია



ხათუნა ჩიჭაძე

* * *

რა მენატრება?
 ნუ, ნუ მკითხავ,
 რადგან შენ იცი,
 რომ ლურჯთვალა აპრილები
 მზეს ჩემში ჰბადებს...
 ცის მზენწულიდან,
 წარსულიდან,
 ბავშვობის ფიცით,
 ლურჯთვალა ია მენატრება
 ყველაზე ადრე!

ფიქრის ნართი

ფიქრი დართულა ღამეში,
 დილას ღამეშია მზე შვენის,
 სტუმრად მენვია ღამე შინ,
 შემომეკედლა დღე შენი.
 თუ ოცნებები გაცივდა, –
 საშემოდგომო ჟანრია,
 მოგონებები გაფითრდა,
 ნისლის და ქარის ჟამია!

სიყვარული

შენ ჩემს სხეულში დაიბადე
 და მიიცვალე...
 შენ ჩემთან ერთად დაიბადე
 და დაიცვალე...
 შენ ჩემთან ერთად დაიქადნე
 და დაიშალე...
 მერე კი ურცხვად გარდაიცვალე!
 ჯერ აზრი მოკვდა,
 მერე სხეული!
 ჯერ თვალი მოკვდა!
 მერე სხეული!
 ჯერ სუნთქვა მოკვდა!
 მერე სხეული!
 სხეული მოკვდა ყველაზე ადრე,
 ყველაზე ბოლოს!
 არ ვიცი, ასე როგორ ხდება
 და როგორ ქრება
 საუკუნეებს შეკირული სიტყვა უფლისა!
 არ ვიცი, ასე როგორ ქრება
 და როგორ ხდება
 ტანჯვად გარდაქმნა სიყვარულისა!
 ჩვენ სულ ერთ წამში დავიბადეთ
 და ერთად გავჩნდით!
 ახლა ხელახლა ვიბადებით,
 ოღონდ, ცალ-ცალკე!
 არადა, ჩემთან ერთად გაჩნდი,
 თუმც, ვერ გადარჩი!
 იქნებ, როგორმე, ხელახლა გშვა,
 ცოტა მაცადე!

* * *

გამოვკეტე სულში ფერი,
 მზისგან ამონაჟური,
 ლექსი – ჩემით ქარგული და
 ველარტემული წარსული.
 რომ ავხადო ხუფი ტკივილს,
 სულ უფერო დავრჩები...
 იცით, სიტყვა როგორ ტირის?–
 საზრდოობას ნაჩვევი.
 გულის გულში კვლავ დავიტევ,
 ასე ხდება ოდითგან,
 რითმა – ჩემი თეთრი შვილი
 ასტრალიდან მოვიდა.
 ის მზისფერი სასწაული
 ჩანვა, ჩანდა სულეთში,
 ეს დარდია, საწყაული
 ცოდვის საუკუნეში!
 მტკივა გვამი, მაინც ვერ ვთმობ,
 გადავრაზე გრძნეული,
 მოდის ღამე მთვარის შუქით
 მზისგან გამორჩეული!
 დე, ეს ფითრი იყოს ჩემში,
 ასე ხდება ოდითგან...
 ეს ტვირთი და ლექსის პანო
 ასტრალიდან მოვიდა.

* * *

რით ველარ მიხვდით, ქარიშხლები უფრო მიზიდავს!
 გულის ბზარები მზის სინათლის სარტყლად მარტყია,
 ჰო, ასეთი ვარ, ამოზრდილი ფერად სიზმრიდან
 და ზეცას ვუჭვრეტ ისე, თითქოს სულის სარკეა.
 რატომ ვერ ხვდებით, მედგრად ვდგავარ და კვლავ ვიდგები,
 სადაც უფალმა მისახსოვრა მე დიადემა,
 თავთავებისთვის მელოდება შვილთა მინდვრები,
 ცხოვრებას ჩემსას ანგელოზმა ფრთა მიადევნა...
 მოვიმკით ნაყოფს, რაც დავთესეთ და რაც ვახარეთ,
 გარდუვალა, ყველა ნახავს თავის მოწეულს.
 არახალია ეს ყოველი, არახალია,
 მე ველოდები მზისფერ დისკოს, ნაყოფს – ბრონეულს!
 რით ველარ ხედავთ, ქარიშხლები ვერას მაკლებენ!
 ამ ჩემს ანგელოზს არ დაეტყო არც დაღლა, სევდა,
 ეს გამოწვევა მე საკუთარ თავში მახედებს...
 ასეა, რაც ვთქვი! და აქამდეც რომ უნდა მეთქვა!

* * *

მე ასე ვიბრძვი:
 გადევნებთ ქარბუქს –
 უსახურ მწევარს...
 სიყვარულის და
 სიკეთის მიზნით,
 მდევარს ვახელებ!
 და ვატან თქვენთან
 ახალშობილ,
 უცნობ სახელებს...
 ჩემსავე რითმის
 ბგერებში ვინვი
 და მასში ვწევარ...
 მერე ქარბუქებს
 გამოვატან
 სულის სიმღერას!
 მე ასე ვიბრძვი...